

სამეგრელო

და

ზემო სვანეთი



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიის ფართობი 7.4 ათასი კვ.კმ-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 10.6%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი, გურია, აფხაზეთი, ხოლო სახელმწიფო საზღვარი აქვს რუსეთის ფედერაციასთან.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულებია: **აბაშის, სენაკის, ზუგდიდის, მარტვილის, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქი ფოთი.**

ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. ზუგდიდი, მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 339 კმ-ია.

II. ბუნებრივი რესურსები და გარემო

1. მინერალურ-რეკრეაციული რესურსი

სამეგრელო ზემო-სვანეთში არსებობს ტორფის 4 ძირითადი საბადო: ანაკლიის (ზუგდიდი), ჭურიისა და ნაბადის (ხობი), ოცანცალეშის (მარტვილი). მოიპოვება ასევე ფერადი ლითონები, რომელთა პროგნოზული რესურსი შეადგენს: ოქროსი – 103.7 ტონას, ტყვიის – 300 ათას ტონას, თუთიის – 370 ათას ტონას, სპილენძის – 376 ათას ტონას, კობალტის – 6 ტონას, ვერცხლის - 8.4 ტონას. სულ ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 2 985.86 მლნ დოლარს.

მარტვილის, მესტიისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მოიპოვება მოსაპირკეთებელი ქვები და მაგმური ქანები, რომელთა მარაგი შეადგენს 6475 ათას კუბურ მეტრს, ხოლო მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 317 მლნ. დოლარს. მხარეში ვხვდებით ასევე მოსაპირკეთებელი ქვების, სამშენებლო ქვიშა-ხრეშის, საკირე კირქვების, თაბაშირის, ანჰიდრიტის და ბარიტის საბადოებს.

თერმული წყლების საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, მარტვილისა და სენაკის მუნიციპალიტეტები. რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 35 ათ. მ³/დღ.

2. წყლის რესურსი

მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: ხობისწყალი (150კმ), ტეხური (101 კმ), ენგური (94 კმ), რიონი (88 კმ), აბაშისწყალი (66 კმ), ცხენისწყალი (44 კმ), მიწისქვეშა წყლების მოცულობა შეადგენს რეგიონის წყლის რესურსების საერთო მარაგის 25%-ს.

რეგიონი მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო წყლებით, სუფთა წყაროს წყლებით, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებითა და მინერალური წყლებით. თერმული წყლების საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის და სენაკის მუნიციპალიტეტებში, რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 35 ათ.მ³/დღ. საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის საბადო. დღეისთვის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შეფასებულია 14300 მ³დღ.დ ოდენობით 800 - 1000 C ტემპერატურით.

3. ენერგეტიკა

- ენგურის ჰიდროელექტროსადგური საქართველოს ელექტროენერჯის პროდუქციის ნახევარს აწვდის, რომელიც შეადგენს 4.5 მილიონ კილოვატ საათს წელიწადში;
- მარტვილის ელექტროსადგური;
- ჩხოროწყუს ელექტროსადგური.

უახლოეს პერიოდში საქართველოს მთავრობა რეგიონში მეორე ჰიდროელექტრო-სადგურის – ხულონჰესის განახლებას გეგმავს.

4. სატყეო რესურსი

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამეგრელო ზემო სვანეთში ტყის ფონდის ფართობი იყო 308,1 ათასი ჰექტარი, რაც საქართველოს ტყის ფონდის ფართობის 10.2%-ია. რეგიონში ტყით დაფარულია 284.2 ათასი ჰექტარი, რაც საქართველოში ტყით დაფარული ტერიტორიის 10.2%-ია.

სამეგრელო-ზემო სვანეთში ტყის აღდგენა დაფიქსირდა 6 ჰექტარზე და ადგილი ჰქონდა ტყის თესვას და დარგვას. რაც შეეხება ტყის ჭრას, რეგიონში დაფიქსირდა – 2874 ჰექტარზე, რაც მთლიანად საქართველოში ტყის ჭრის რაოდენობის 6.45%-ია.

ტყის აღდგენა სახელმწიფო დანიშნულების ტყეებში სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე 2004 წელს დაფიქსირდა 6 ჰექტარზე, რაც მთლიანად საქართველოში აღდგენილი სახელმწიფო დანიშნულების ტყეების 3.2%-ია.

რეგიონში 2005 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 1330 კუბურ მეტრზე ხე-ტყის უკანონო ჭრა, რაც მთლიანად საქართველოში უკანონოდ მოჭრილი ტყეების 2.8%-ია.

III. ადამიანური, სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის წინასწარი მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 466 ათას ადამიანს შეადგენს, სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე არის 63 ათასი კაცი, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 10.6%-ია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.06%-ით გაიზარდა. მათ შორის, ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 183 133 კაცს, სოფლის – 282 967 კაცს.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის (2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით) ყველაზე ბევრი ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე მოდის – 171.6

ათასი კაცი, რაც სამეგრელო ზემო სვანეთის მთლიანი მოსახლეობის 36.7%-ია. შემდეგ მოდის სენაკის მუნიციპალიტეტი – 51.7 ათასი კაცით.

სამეგრელო – ზემო სვანეთში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 5388 კაცი, რაც საქართველოში სულ დაბადებულთა რაოდენობის 10% შეადგენს. ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემებს 17%-ით აღემატება.

რაც შეეხება, გარდაცვალებულთა რაოდენობას, 2008 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 3836 კაცი, რაც საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობის 9%-ია.

მოსახლეობის ეთნიკური შედამგენლობა რეგიონში ასე გამოიყურება:

- ქართველი – 465 ათ. კაცი
- აზერბაიჯანელი – 142 კაცი
- ოსი – 163 კაცი
- სომეხი – 476 კაცი
- რუსი – 4.1 ათ. კაცი
- უკრაინელი – 528 კაცი
- იეზიდის – 2 კაცი
- ბერძენი – 86 კაცი
- აფხაზი – 423 კაცი

2. განათლება

სამეგრელო – ზემო სვანეთში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის საინჟინრო ეკონომიკური ინსტიტუტის ფილიალი;
- საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალი;
- სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი;
- საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟიული შარტავას სახელობის სენაკის ფილიალი;

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი;
- ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
- სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალი. სამეგრელო-ზემო სვანეთში სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009 წლებში იყო – 1003 კაცი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9%-ით ნაკლებია, ხოლო მთლიანად საქართველოში სტუდენტთა რაოდენობის 1%-ია.

3. სოციალური უზრუნველყოფა

2008 წელს პენსიონერთა რაოდენობამ რეგიონში 96 832 კაცი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 11%-ია. რეგიონში ომის ვეტერანია – 1102 კაცი, ინვალიდი – 14 605 კაცი, უმწეო ოჯახი – 15 562 კაცი, ხოლო სააგენტოში დარეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 74 012 ოჯახი.

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფილიალის ინფორმაციით რეგიონში სოციალური დახმარების 104 002 პოლისია გაცემული.

4. ჯანდაცვა

რეგიონში ჯანმრთელობის დაცვის ყველა ტიპის დაწესებულებათა რაოდენობა შეადგენს 89 საბაზო ერთეულს. მათ შორის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ქსელი წარმოდგენილია 9 ამბ/პოლ. გაერთიანებით და მასში შემაჯავალი 120 ამბულატორიით და 5 პოლიკლინიკით. ასევე ფუნქციონირებს 2 დამოუკიდებელი ამბულატორია. რომელსაც ემსახურება 260 საექიმო ბრიგადა და ასევე 7 მაღალმთიანი სამედიცინო პუნქტი.

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ 2008 წლის ჯამური მონაცემებით ხარჯვით ნაწილში დაფიქსირებულია – 8 853 ათასი ლარი.

5. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან გამოიყოფა: თეატრი, მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა.

მათ შორისაა: ხობის მონასტერი, წმინდა სოფიოს ტაძარი, ზემო ბიის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესია, ხეთის ციხე, ხეთის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესია, ძველი ხიბულის ჯიხა-ციხე.

არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია: დადიანების სასახლე-ეკლესიის სამონასტრო კომპლექსი, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ქ. სენაკის თეატრი, ნოსირის რომაული ტიპის აბანოს ნანგრევები. ზემო სვანეთი მდიდარია საერო და საკულტო დანიშნულების არქიტექტურული ძეგლებით. დღემდე შემორჩენილია 342 საცხოვრებელი კომპლექსი და 208 კოშკი. ზუგდიდში წარმოდგენილია ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ – არქიტექტორული მუზეუმი (XIX საუკუნე). მესტია მდიდარია სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებით, ხატწერის, ოქრომჭედლობის, ხელნაწერი წიგნის მორთულობის და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით, მათი შესრულების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა (IX–XII საუკუნეები).

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

რეგიონში მოქმედებს 109 სატრანსპორტო ორგანიზაცია.


- სარკინიგზო გზების სიგრძე რეგიონში შეადგენს 150 კმ-ს;
- საავტომობილო გზების სიგრძე – 1 888 კმ-ია.

2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში 338 კმ. სიგრძის საზოგადოებრივი მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს 67 კმ-ის გზის მონაკვეთზე.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

რეგიონში 2009 წლის I კვარტალში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობამ 23 ათასი შეადგინა, რაც



საქართველოში სულ რეგისტრირებულ სუბიექტთა 8%-ია.

2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ 21.7 ათასი შეადგინა.

დასაქმება

2008 წელი	სამეგრელო-ზემო სვანეთი		ათასი კაცი
	რაოდენობა	წილი	საქართველო რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	209,9	11	1917,8
მომუშავე	185,2	12	1 601,9
დაქირავებული	42,3	7	572,4
თვითდასაქმებული	142,8	14	1 028,5
გაურკვეველი	0,1	10	1,1
უქმშეგარი	24,7	8	315,8
უმუშევრობის დონე (%)	11,8	72	16,5
აქტიურობის დონე (%)	69,1	110	626
დასაქმების დონე (%)	61,0	117	52,3


დასაქმებულთა რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში 2009 წლის II კვარტალში იყო – 17643 კაცი, რაც საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის 6%-ს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე 14%-ით ნაკლებია.

2. ეკონომიკა

რეგიონში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 1 656.2 მლნ. ლარი შეადგინა,

რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 31.5%-ით მეტია, ხოლო საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 10%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი სოფლის მეურნეობას უკავია – 282.7 მლნ. ლარი, რაც რეგიონში მთლიანი დამატებული



ღირებულების - 18%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი, 74%-იანი ზრდა, სამშენებლო სექტორში დაფიქსირდა.

რეგიონში 2004-2008 წლებში ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში გაიზარდა პროდუქციის გამოშვების და ბრუნვის მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის მონაცემები.

2008 წელი	შიდა ქართლი	საქართველო		
		რაოდ.	%	
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	4 624	5,4%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	367,0	7,9%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	313,4	8,2%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	12 401	3,6%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	543,4	2,8%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	402,8	3,9%	10 248,4
ტრანსპორტ და კავშირბა.	დასაქმება (კაცი)	293	0,6%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	2,8	0,1%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	2,1	0,1%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	1 647	3,1%	52 572
	ბრუნვა (მლნ.ლ)	57,7	3,6%	1 604,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	57,7	3,4%	1 717,2
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	1 259	2,3%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	94,5	1,0%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	5,9	0,4%	1464,7

3. სოფლის მეურნეობა

რეგიონის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. შესაძლებელია გამოვეყნოთ სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი წამყვანი დარგები: მეხილეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა.

რეგიონში სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 270.5 ათ. ჰა.

მათ შორის:

- სახნავია – 69.9 ათ. ჰა.
- მრავალწლიანი ნარგავები – 38.4 ათ. ჰა.
- სათიბი – 270.4 ათ. ჰა.
- საძოვარი – 152.533 ათ.ჰა

ბოლო წლებში განხორციელებულმა მაშტაბურმა პრივატიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა თანაფარდობა კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის, 2009 წლის მონაცემებით სასოფლო - სამეურნეო სავარგულების 33.6% ანუ 90213 ჰექტარი იმყოფება კერძო საკუთრებაში. რეგიონის სამეურნეო სავარგულების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით ასე გამოიყურება: სახნავი სავარგული სულ – 70159.3 კვ.კმ. მათ შორის, კერძო სექტორის საკუთრებაშია – 55 362.5 კვ.კმ, სახელმწიფო სექტორის საკუთრებაშია – 14 796.8 კვ.კმ. ხოლო მათ შორის იჯარით გაცემულია 3 045.5 კვ.კმ.

რეგიონში მცირემიწიანი (1,25 ჰა-მდე ფართობი) გლეხების რაოდენობა შეადგენს 172.0 ათას კაცს, მსხვილი ფერმერული მეურნეობების, ფერმერთა ასოციაციების კოოპერატივებისა და სხვა გაერთიანებების რაოდენობა კი – 90 ერთეულს.

რეგიონში სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრების, სერვისცენტრების რაოდენობა შეადგენს 4 ერთეულს და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე ძალზე მწირია.

4. სამშენებლო სექტორი

გაცემული მშენებლობების ნებართვები ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე სამეგრელოში 2007 წელს იყო – 37 და საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი

იყო – 5765.85 კვ.მ, მოშენების – 204 კვ.მ, მიწის ნაკვეთი – 342 290 კვ.მ

2007 წელს სამეგრელოში, კერძოდ სენაკში 1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. 2007 წელს ქ. ზუგდიდში და სენაკში გაცემულ იქნა 62 ნებართვა.

2008 წლის I – III კვ. სამეგრელოში გაცემული იქნა – 139 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი იყო – 31841 კვ.მ, ხოლო 2007 წელის 176 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი იყო – 35467 კვ.მ.

5. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით სამეგრელო ზემოსვანეთში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 3249, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 8.85 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა – 95
- საშუალო საწარმო -216
- მცირე საწარმო -2938

რეგიონში მოქმედებს შემდეგი მსხვილი საწარმოები:

ზუგდიდი

- შპს “დიოსკურია XXI” – ხილისა და ბოსტნეულის წარმოება;
- შპს “ქოლო” – საბითუმო ვაჭრობა ავტომობილის ბენზინით;
- შპს “ცერცერა” – ფქვილის წარმოება და სხვა;

სენაკი

- სს „არქეოპოლისი” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს „ინტერკომპანი” – საბითუმო ვაჭრობა ავტომობილის ბენზინით;
- შპს „გეოფრივიანტი” – მზა საკვების მიწოდება;
- შპს “ფარმაკონი” – საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონელით და სხვა.

ქ. ფოთი:

- შპს “ფოთის საზღვაო ნავსადგური”- ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება;
- შპს „ბარვის ჯორია” – ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება;
- შპს “ბი ენდ პი” – ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება;
- შპს „ბოსკალის ინტერნაციონალ ბ.ვ” – წყლის ნაგებობის მშენებლობა;
- შპს “სქრაფ” – საბითუმო ვაჭრობა შავი და ფერადი ლითონების ჯართითა და ნარჩენებით;
- შპს “ტრანს-ალიანს-ფოთი” – ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება;
- შპს “ნიკორა 7” – არასპეციალიზირებული საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით და თამბაქოს ნაწარმით;
- შპს “მეტალექსი” – ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება;
- შპს “თოლია” – საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით;
- შპს “სილქ-როუდ-ექსპრეს ჯორჯია” – ტვირთი გადაზიდვის ორგანიზება;
- შპს “პალიასტომი 2004” – საბითუმო ვაჭრობა თევზითა და თევზის პროდუქტებით და სხვა.

მარტვილი

- შპს “ჯორჯიან ფორისტ” – მერქნის ხეხვა და რანდვა;

წალენჯიხა

- შპს “გზა” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა.

6. საფინანსო სექტორი


საფინანსო საკრედიტო დაწესებულებები: რეგიონში საბანკო მომსახურებას ახორციელებს 23 საბანკო ფილიალი. ესენია “საქართველოს ბანკის” – 7 ფილიალი, “თი-ბი-სი ბანკის” – 1, “ტაო-პრივატ ბაიკის” – 1, “პროკრედიტ ბანკის” – 2 და სტანდარტ ბანკის 1 ფილიალი.

სადაზღვევო და საპენსიო დაწესებულება: რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედებს სადაზღვევო და საპენსიო კომპანიები, რომლებიც კერძო და იურიდიულ ფორმებს სთავაზობენ სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებათა პაკეტს.

7. პრივატიზაცია

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა სამეგრელო-გურია-სვანეთში 2008 წელს იყო 87, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 25-ით მეტია, ხოლო მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების 14%-ია.

2004 წლიდან დღემდე სამეგრელო-გურია-სვანეთში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა არის 334, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 12%-ია.



8. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, ფონდების, დონორი ქვეყნების წარმომადგენლობებისა და მათ მიერ განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ღირებულებამ 2007 წელს 14.2 მილიონი ლარი შეადგინა. ინვესტიციები განხორციელდა გზების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე საავადმყოფოების, სასმელი წყლის მიღების, ხიდების, სკოლების რეაბილიტაციისათვის, გაბიონების მშენებლობისათვის, სპორტული

მოედნების მოწყობისათვის, აეროპორტის რეკონსტრუქციისათვის.

ინვესტიციები განახორციელა შემდეგმა ორგანიზაციებმა:

- UNOMIG
- CHF INTERNATIONAL
- Medecins Du Monde – მსოფლიოს ექიმები
- ACH – მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ
- ICRC – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
- გაეროს სასურსათო პროგრამა
- ევროკავშირი
- აშშ-ს მთავრობა

9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საზღვარგარეთის კაპიტალის მონაწილეობით რეგიონში შექმნილი საწარმოები:

- **ხობი:** „აზერბაიჯან-სოკარ-კომპანი“-ს ნავთობ-ტერმინალი
- **წალენჯიხა:** სს „საქართველოს ხის გადამამუშავებელი კორპორაცია“
- **ქ. ფოთი:** სს „ფოთიმაცივარკომბინატი“, „შავი ზღვის პროდუქტები“ – (მაცივარი, საკონსერვო ქარხანა), შპს „ფოთი ნავთობპროდუქტი“ – (ზეთის გადამამუშავებელი ქარხანა), შპს „ჩენელენერჯი“ - ნავთობტერმინალი.
- **სენაკი:** შპს „სენაკური“ – საქართველო-ისრაელის ერთობლივი საწარმო, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა მარკის ღვინოებს. შპს „ქსილოტრანსი“ – საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საწარმო, რომელიც დაკავებულია ხე-ტყის დამუშავებით. საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივი ინვესტიციების გამოყენებით შექმნილი მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოები – კოოპერატივი „ტყირი“ და შპს „ნაქორუ“.
- **ზუგდიდი:** შპს „არგონატსი“ – თხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.
- **მესტია:** შპს „ართი“ – ხის გადამამუშავებელი კომბინატი.

- **მარტვილი:** შპს „ჯორჯიან ფორისტი“ ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, საინვესტიციო კაპიტალის მოცულობამ შეადგინა 7 მლნ ლარი.

11. საინვესტიციო პოტენციალი

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის განვითარების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა:

- აგრობიზნესის განვითარების პროგრამა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროგრამა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარების პროგრამა.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და კოტინციური საკურორტო ალბილები

ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია რეგიონში. მთავარი დანიშნულების პუნქტს წარმოადგენს სვანეთი, დღეისათვის კი აქ ტურიზმის ინფრასტრუქტურა მოშლილია და რეაბილიტაციას საჭიროებს.

რეგიონში შესაძლებელია ეკოტურიზმის თანმდევი სახეების, სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა და განვითარება. ამ მიზნებისათვის შეუდარებელია ენგურის წყალსაცავი და მდინარის შუა და ზემო წელი. აქ არის შესანიშნავი პირობები სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისათვის. შესაძლებელია ასევე საფეხმავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სასკოლო-საუნივერსიტეტო ტურიზმის განვითარება.

რეგიონი მდიდარია არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებით. ნაქალაქევი, რომელიც სენაკიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კილომეტრითაა დაშორებული, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ადგილია. ყუღევის არქეოლოგიური გათხრები იძლევა უნიკალურ მასალას ისტორიული კოლხეთისა და საერთოდ, უძველესი ცივილიზაციის

შესახებ ჩვ.წ.ად-მდე III-VIII საუკუნეებში, რომლის მწირი ნაწილი დღეის მდგომარეობით ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

სობის სამონასტრო კომპლექსი – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი და ასევე წმინდა სოფიას ტაძარი სოფელ პირველ მაისში, ძველი ხიბულის ციხესიმაგრე – „ჯიხა“ – სოფელი ძველ ხიბულაში, VII საუკუნის მარტვილის სამონასტრო კომპლექსი და IV საუკუნის აბელათის ციხესიმაგრე. აღსანიშნავია, კოლხეთის ეროვნული პარკი და ცენტრალური კავკასიონის გეგმარებითი დაცული ტერიტორიები.

2. თეატრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმები

მხარეში 2008 წელს ფუნქციონირებდა 3 თეატრი და 11 მუზეუმი, რაც მთლიანად საქართველოში თეატრების და მუზეუმების რაოდენობის 8.2%-ია. სამეგრელო ზემო სვანეთში წარმოდგენილია შემდეგი მიზეუმები: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი და ა.შ.

2008 წელს გაიმართა 122 წარმოდგენა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12%-ით ნაკლებია. აღნიშნულ წარმოდგენებზე მაყურებელთა რაოდენობამ 28170 კაცი შეადგინა.

მუზეუმებში დამოვალიერებელთა რიცხვი 2008 წელს იყო 10.6 ათასი ადამიანი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22.6%-ით ნაკლებია.


2008 წელს სამეგრელო ზემო სვანეთში განხორციელდა 844 ექსკურსია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 108 %-ით მეტია. ასევე ჩატარდა 44 გამოფენა.

2008 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში ფუნქციონირებდა 94 ბიბლიოთეკა.

VII. ადგილობრივი კიუჭაქის შემოსულობები


1. საბადასახადო, არასაბადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 26973.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 5.6 %-ია.




2. ქონების გადასახადი

სამეგრელო ზემო სვანეთის მხარეში 2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 13017.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის 9.9 %-ია.




მათ შორის, აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია

8116.1 ლარი, რაც მთლიანი გადასახადის 62%-ია.




3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს სამეგრელო - ზემო სვანეთში ადგილობრივი გადასახადებიდან შემოსულმა თანხამ – 998.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 1.6%-ია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 49% მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე – 489.6 ათასი ლარი მოდის.



4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით **22912.5** ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 4.6%-ია.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთანადრ მიზნობრივ სპეციალური			სულ
	ათასი ლარი			
ფოთი		337	2,150	2,487
ზუგდიდი	3,321	315	1,938	5,574
აბაშა	1,337	85	650	2,072
მარტვილი	1,640	143	834	2,617
მესტია	719	110	874	1,703
სენაკი	1,906	185	1,242	3,333
ნსორწეუს	1,635	110	895	2,640
წაღენჯიხა	301	150	965	1,416
ხობი		220	850	1,070
სულ	10,859	1,655	10,399	22,913